მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს. ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

საფოსტო ვაგონის რომ დაეცნენ, ვარშავი' რკინის გზაზედ 15 ივნის გატაცებულია 173 ათასი მანეთი.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ადრესი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 35 ხუთშაბათი, 20 ივლისი 1906 წ. თბილისი № 35

## „გლეხის“ რედაქცია

ადავიდა სოლოლაკში განოვის ქუჩაზე სახლი გურგენოვისა № 8 ქალაქის საბჭოს მახლობლად.

## ადრესის გამოცვლა

ჩვენი აგენტებისა, მკითხველებისა და ხელის მომწერთა საყურადღებოთ. ამ დღიდან ადმინისტრაცია „ნობათისა“ გადადის გაზეთ „მუშის“ ადმინისტრაციის ხელში. ამისათვის ყოველგვარი წერილები და ფული იქ უნდა იქნას მიმართული. ჩვენ აგენტებსა ვსთხოვთ ანგარიშიც „მუშის“ ადმინისტრაციას გაუწიოს. ყოველ წერილზე და აგრეთვე ფულიან კონვერტებზე, თუ თუ ფულის გამოგზავნის უწყებებზე მკაფიოდ უნდა იქნას აღნიშნელი: „ნობათისათვის“

„მუშის“ რედაქციის, რომელიც ამიერიდან „ნობათის“ ადრესიცაა.

ტფილისი, 20 ივლისი.

> Міръ раздѣленъ на два... Здѣсь революція, тамъ контръ-революція, —вотъ лозунги...
> М. Бакунинъ.

რასაც ჩვენ ვამბობდით თავიდანვე ჯერ „ნობათში“, მერმე „ხმაში“ და „მუშაში“ ასრულდა. „დუმა“, რომელიც მხოლოდ იმისათვის იყო მოწვეული, რომ მთავრობისათვის გაეადვილებინა რევოლიუციის დალრჩობა და რომელმაც ამ როლის ასრულება არ ისურვა,—განდევნილ იქნა. ჩვენთვის აქ მოულოდნელი არაფერი არ არის და ამისათვის არც კითხვა: როგორ მოვიქცეთ დუმის გარეკის შემდეგ,—ახალს არაფერს შეიცავს: დიდი ხანია რაც ამ კითხვაზე პასუხი გავეცით. რუსეთის დიდ რევოლიუციაში დუმა მხოლოდ ერთი მომენტია; ის რევოლიუციას არც იწყებს, არც ათავებს. რევოლიუციას ვერც მისი მოწვევა შეაჩერებდა და ვერც მისი გარეკა შეაჩერებს. საფიქრელი რევოლიუციის მხრივ უფრო დუმის დარჩენა იყო, რადგან მისი უმრავლესობა პოლიტიკანობის გზას დაადგა და რამდენადაც შესაძლებელი იყო ა[?]ც მთავრობასთან ერთად მუშაობას უარჰყოფდა. მთავრობას რომ რეაქციით სულ ერთიანად არ ჰქონდეს გამოლაყებული ჭკუა, გონება და მოსაზრება ის დუმას არა თუ არ გარეკავდა, არამედ მიებლაუჭებოდა მას, ეცდებოდა დამეგობრებოდა მის ოპორტიუნიზმის ნიადაგზე დანდგარ უმრავლესობას. მაგრამ მან ეს ასე არ ისურვა. მან დუმა გარეკა და ამ გვარად ის ხიდე, რომელიც პოლიტიკანიზმის ხელოვნებას რეაქციასა და რევოლიუციას შორის ჰქონდა აღმართული ჩაშალა. ამიერიდგან რეაქციასა და რევოლიუციას შორის არავითარი შუამავალი აღარ არსებობს. რეაქცია ან რევოლიუცია, მონობა ან სამოქალაქო ომი. აი, როგორ სვამს კითხვას მთავრობა თავის მოქმედებით, აი როგორ უნდა დავაყენოთ კითხვა ჩვენც, სხვა გზა არ არის. მთავრობას სურს ჩვენი დამარცხება და მიწასთან გასწორება რეაქციით,—ხალხს კი მთავრობის დამარცხება და მიწასთან გასწორება რევოლიუციით. მდგომარეობა გამოირკვა. ცხადია ვის რა უნდა, ცხადია ვინ რისთვის ემზადება. ამას ჩიჩინი აღარ უნდა. გამარჯვება იმისი იქნება ვინც ძალას ან მოიპოვებს ან გადიბირებს. დღევანდელი მომენტის შესაფერი ლოზუნგი მხოლოდ ერთია—ორგანიზაცია ძალისა, დაპირდაპირება ორგანოში მოყვანილ შეგნებულ ძალების ბარბაროსულ ძალდატანებისადმი. მთავრობისათვის შავ ძალების ორგანოში მოყვანა სახსარი არის, მიზანი კი რეაქციაა. ხალხისთვის მიზანი რევოლიუციაა,—სახსარი კი რეაქციის დამთრგუნველ ძალათა ორგანოში მოყვანაა. მთავრობას ჰგონია რომ რეაქციით რევოლიუციასა ჰკლავს,—ნამდვილად კი რეაქცია კიდევ უფრო აუცილებლად ხდის რევოლიუციას. მთავრობას ეგონა დუმასთან ერთად რევოლიუციასაც გავრეკავო, — ჩვენ კი ვხედავთ რომ გარეკა თუ არა დუმა და გაიწმინდა პოლიტიკური ატმოსფერა,—სოციალური რევოლიუციის საშინელმა მოჩვენებამაც იჩინა თავი. მთავრობას ეგონა, რომ ის დუმის გარეკით ხალხის გულის ცემას შესწყვეტდა. ეს კი აგრე არ მოხდა. დუმის გარეკის შემდეგ ხალხის გული იქცა უზარმაზარ განგაშად, რომელიც ძლიერის ხმით უხმობს ძველი რეჟიმის ყველა მოსისხლე მტერთ ერთ დიდ და წმიდა დროშის ქვეშ, სოციალური რევოლიუციის დროშის ქვეშ. ზარი სცემს, ძველ რეჟიმის დამმარხველი ლაშქარი ამ დროშის ქვეშ იკრიბება.

კ. ი—ი.

---

## ახალი ამბავი

როგორც ხმები გავრცელდა დაღესტანის ოლქში მომხდარა არაჩვეულებრივი ამბავი როგორც ამბობენ აჯანყებულან ყაზახები მოუკლავთ კომანდირი და სხვა უფროსები. არიან დაჭრილნიცო. თბილისიდან ჯარი გაუგზავნიათ.

— თბილისის სამხედრო სასამართლოში დღევისათვის დანიშნულია გასარჩევათ საქმე მე-6 კავკასიის მსროლელთა ბატალიონის ჯარის კაცების, ბრალდებულნი არიან: იოსებ კახელა, ანდრია ჟივნოვი და ი. შათირიშვილი.

— როგორც თელავიდან იტყობინებიან იქ მოუკლავთ მოქალაქე ნიკოლოოზ ცხვედიანიძე. მკვლელები მიმალულან. მიზეზი მკვლელობისა ჯერ კიდევ არ იციან.

— ილიკო ხუციშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გუშინ მას დაეკარგა 14 წლის შვილი, სახელად გიორგი. თუ ვინმემ რამე იცის შეატყობინოს, სასახლის ქუჩაზე, მაღაზია კვაიჩაძესი, ილიკო ხუციშვილს.

— 18 ივლისს, თბილისის ბეჭვდითი საქმის კომისიამ შეაჩერა სომხური გაზეთი „კიანქ“-ი და საქმე გადასცა სასამართლოს. ასე რომ გაზეთი სასამართლოს განაჩენამდე დახურული უნდა იქნეს.

— თბილისის კომენდანტის განკარგულების თანახმად, თბილისის გუბერნატორი შეეკითხა ქალაქის თავს, თუ ვინ იქნება დანიშნული ქალაქის წარმომადგენლად იმ კომისიაში, რომელიც შეაწერს მცხოვრებლებს სამსახურში მყოფ ჯარის კაცების ოჯახების სასარგებლოთ გადასახადს.

— შეთანხმდნენ ქალაქის განათების „ვაშინგტონის“ ფირმის მუშები. მოთხოვნილებანი ზრდილობიანათ მოქცევის შესახებ, 30 მ. ჯამაგირათ მიცემაზე, წლიწადში, 1 თვის თავისუფლებაზე და ამხანაგებას მუშებისაგან მიღებაზე ყველანი დააკმაყოფილეს.

— აგრეთვე შეთანხმდენ და შეუდგენ მუშაობას „გერმესის“ სტამბის მუშები.

— გორიდან პოლიციის აცნობებენ რომ გორის მაზრაში სოფლათ ყოფილან წასული 7 ყაზახი სანოვაგის სასყიდლათ. როცა უკან დაბრუნებულან გზაზე ვითომდა, თავს დასხმიან მათ 20—25 შეიარაღებული კაცი, რომელთაცა უნდა მათ წინააღმდეგ სროლა აეტეხოსთ. თოფებითვე გაუციათ პასუხი ყახახებს, რომელთაც მოშველებიან კიდევ 5 ყაზახი. ყაზახებს მოუკლავთ მიხ. გოგნიაშვილი, რომელიც გორის ციხიდან გაქცეული ამას წინათ და ივ. დათიაშვილი. ყაზახებისათვის კი ერთი ცხენი მოუკლავთ.

---

## რუსეთი

ტიმოფეევის ქუჩაზედ, მუშების ცოლები, სანოვაგის სავაჭროდ რომ მიდიოდნენ გამართეს მიტინგი. ძალიან გულმოდგინეთ მოეპყრნენ მიტინგს. ერთი იმათგანი ძალიან ცხარედ ლაპარაკობდა; რომელმაც დაასრულა შემდეგი სიტყვებით: ოჯახები, ყმაწვილები შიმშილით იხოცებიან... შავი ღრუბელივით თავს დაგვტრიალებს საერთო გაფიცვა, უნდა ჩვენც მომზადებული დაუხვდეთ. მაგრამ მიკიტნები

კი ჩვენ ქმრებს ართმევენ უკანასკნელ გროშებს!

გადაწყვიტეს რომ ყოველივე ღონე იღონონ. კვირა უქმეებით დაკეტილი იყოს ხოლმე სამიკიტნოები. (XX ვეკ.).

—

ცნობილ მოღვაწეებმა: შიპოვმა გუჩკოვმა და სამარინმა, უარი განაცხადეს სტოლიპინის კაბინეტში შესვლაზე. (XX ვეკ.)

—

მოხდა დელეგატური კრება, პროფესიონალურ კავშირებისა. ეხლანდელი მომენტი საერთო გაფიცვისათვის იცნეს შეუფერებლათ ამნაირადვე გამოთქვეს პარტიულ ორგანიზაციების კრებამ. (XX ვეკ.)

—

სახელმწიფო ქაღალდების სამზად ექსპედიციაში, 18 ივლისს არეულობის ჩაქრობაში, პოლიციელების მიერ დაჭრილია რამდენიმე მუშა. კუთხის სახლში დროვიანოი ქუჩაზე, ექსპედიციის პირდაპირ ყარაულებენ ცხენოსანი პოლიციელნი, რომელთაც სცვლიან ყაზახები.

( XX ვეკ.)

—

11ივლისს დაპატიმრებული პეტერბურგის ვაგზალზე, მდივანი თავისუფალ — ეკონომიური საზოგადოებისა ვ. ვ. ხიჟნიაკოვი; ბრალსა სდებენ იმაში, რომ ვაგზალზე მიესალმა ქუდის მოხდით, ვიბორგიდგან მოსულ დეპუტატებს. (რეჩ).

—

„რეჩ-“ი იუწყება, ბრძანებაა მიცემული, რომ გადაასახლონ პეტერბურგის გუბერნიიდგან, ცნობილი ლიტერატორი ა. მ. ნოვიკოვი.

—

ღამით 13 ივლისს მრავალი მუშა გაჩხრიკეს და დააპატიმრეს, ნარვის რაიონისა. (რუს. ვედ).

—

ბელოსტოკის აწიოკების შემდეგ პეტერბურგის საცენზურო კომიტეტმა აღძრა 45 საქმე რედაქტორების წინააღმდეგ; რომ ვითომ განგებ შეთხუზულ ცრუ ამბებსავრცელებდნენ ბელოსტოკის ადმინისტრაციის და ჯარის მოქმედების შესახებ. (მალიარ.)

## კორესპონდენცია

—

**ჭიათურა.** ბევრი უსახლ-კაროთ და თითქმის ყველანი კი ულუკმაპუროთ დაჰყარა ალიხანოვ-ავარსკის მტარვალობამ ქუთაისის გუბერნიაში. ათას გვარმა გადასახადებმა, გადაწვააწიოკებამ, და ცარცვა გლეჯამ, რომლებითაც ისახელა თავი გენ. ალიხანოვმა, სულის მეტი აღარაფერი შეარჩინა მცხოვრებლებს, და მრავალს ხომ ისიც წაართვა. მშიერი კუჭით დათესეს და დათოხნეს სოფლის მუშა გლეხობამ თითო ორორი კვალი მიწა, რომელიც გააჩნდათ და შემდეგ კი გაიფანტნენ ლუკმა პურის საშოვნელად. უმეტესი ნაწილი ამ მშიერი მუშისა მოაწყდა ჭიათურას, მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნათ. მსხვილ-მუცელა „ფოდრაჩიკების“ ნასუფრალიდან მხოლოდ რამოდენიმეს ერგო ნამცეცები და დანარჩენი კი ისევ მშიერი კუჭით დაეხეტებიან ჭიათურაში და უცდიან იქნება სამუშაო გამომიჩნდეს რამეო. მაგრამ ამაოდ.

გული მოგიკვდება როცა ეს სადი ჯან-მთელი მუშა, მაგრამ შიმშილისაგან ფერ-მიხდილი მოდის და გეუბნება: იქნება ერთი შაური გექნეს და მამეცი, რომ პური ვიყიდო, ორი დღეა არა მიჭამიაო.

ეს მშიერი, უსაქმოთ დარჩენილი მუშები 9 ივლის შეიკრიბნენ ერთათ ჭიათურის ბოლოზე, მდინარე ყვირილის მარცხენა ნაპირზე და გაიმართ ს სჯა-ბაასი მასზედ, თუ რა იღონონ სამუშევრის აღმოსაჩენათ. ამათ კრებაზე დაესწრნენ ორი სოც.-რევოლიუციონერი, რომელნიც მუშებისაგან იყვნენ მოწოდებულნი. ბევრი სხვა და სხვა აზრი წარმოითქვა ამ კრებაზე შესახებ იმისსად თუ რა საშუალება იხმარონ უსაქმოთ დარჩენილმა მუშებმა და როგორ მოიპოვონ სამუშაო. ზოგმა სთქვა ხელი მოვწეროთ გავმართოთ და შეგროვილი ფულით ცოტა ხანს მაინც შევინახოთ თავი და მანამდის იქნება სამუშაოც გაგვიჩნდეს რაიმეო. ზოგმა, ვისაშუაალოთ იქნება ორი რიგი (სმენა) დაარსდეს ვაგონის დასატვირთავათაც და მადაროებშიდაცაო, ამ წესით ბევრი მუშა დაეტევა სამუშევარზედაო, თუმცა მეორე რიგს ცოტა ღამე მოუსწრებს, მაგრამ რა გაეწყობა შიმშილს მაინც აჯობებსო. ზოგმა ისიც ითქვა, რომ უკიდურეს შემთხვევაში, თუ სხვა საშვალება აღარა აღმოგვიჩნდეს რა, მეორე რეა საათი ან რიგზედ დაარსებაც არ მოხერხდეს, მივმართოთ ისევ მუშებს, რომელნიც სამუშევრზედ დგანან და ვთხოვოთ მათ: ან თითო დღე რომ იმათ იმუშაონ, მეორე ჩვენ გვამუშაონ და ან ორი საათის სამუშაო დრო დაიკლონ და ექვსი საათს იმუშაონ, მეორე ექვსს კი ჩვენ ვიმუშავებთო. თუმც ორი საათის ხელფასი მოაკლდებათ, მაგრამ მაგიერათ იქვსი საათის მეტსაც აღარ იმუშავებენ და იმით ჩვენც შეძლებას მოგვცემენ, რომ ლუკმა პური ვიშოვნოთო. ეს მხოლოთ მანამდი, სანამდი სამუშევარს ვიშოვნიდეთო. ყველა კი იმ დასკვნამდი მივიდნენ რომ საჭიროა ავირჩიოთ რამოდენიმე კაცი და მათ მივანდოთ იზრუნონ ყველასთვის სამუშევრის მოპოებაზედაო. სწორედ იმ დროს, როდესაც უნდა შესდგომოდნენ კაცების არჩევას, მოხდა თავზე დასხმა—მკითხველი იფიქრებს, რომ უთუოთ კაზაკები ან პოლიციელნი დაესხნენ თავსაო —მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ არც პოლიციელნი და არც კაზაკები იქ არ მისულან, არამედ სულ სხვებმა შეასრულეს მათი როლი.

როდესაც უსაქმოთ დარჩენილ მუშებს, ყვირილის მარცხენა მხარეს ჰქონდათ კრება, ამავე დროს ყვირილის მარჯვენა ნაპირზე მოსჩანდა ხალხის ჯგუფი, ეტყობოდა

# ფელეტონი

—

### თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმი.

(პ. კროპოტკინისა.)

(გაგრძელება *)

III.

როცა მეცნიერება მივიდა ასეთ ზოგად აზრებამდის, მასში ბუნებრივათ უნდა დაბადებულიყო აზრი სინტეტიურ ფილოსოფიაზე, ე. ი. ისეთ ფილოსოფიაზე, რომელსაც უნდა უკუეგდო მსჯელობა „შინაარსზე“, „მსოფლიო იდეაზე“ „ცხოვრების დანიშნულებაზე“ და სხვა ამგვარ სიმბოლოებზე, უარეყო ბუნების გაადამიანება (ანთროპომორფიზაცია) და მოეცა ჩვენთვის ყველა ჩვენ ცოდნათა გაერთიანება, კრებული; ერთი სიტყვით, ისეთ ფილოსოფიაზე, რომელსაც მარტივიდან რთულისაკენ ასვლა-აკიბვით მოეცა ჩვენთვის გასაღები მთელი ბუნების, მთელი მისი ცხოვრებიანათ, გაგებისათვის, და მით კი მოეცა იარაღი და სარწმუნო საშუალება იმის გამოსაკვლევათ, რაც ჩვენ ჯერაც არ ვიცით, და აღმოსაჩენათ ურთიერთ დამოკიდებულებათა (ესრეთ წოდებულ კანონთა), რომელნიც ჯერ კიდევ აღმოუჩენელია, და აგრეთვე დავერწმუნებით ჩვენი დასკვნების სიმართლეში, თუნდაც ისინი ძალიან შორდებოდენ და ეწინააღმდეგებოდენ გამეფებულ ცრუმორწმუნოებებს.

მეცხრამეტე საუკუნეში რამოდენჯერმე სცადეს აეგოთ ასეთი სინტეტიური ფილოსოფია; მაგრამ ყველაზე უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს ოგიუსტ კონტის და ჰერბერტ სპენსერის მეცადინეობას. მათზე ჩვენ უნდა შევჩერდეთ.

როგორც გვიჩვენა ვლ. სოლოვიოვმა თავის მშვენიერ წერილში ოგიუსტ კონტის შესახებ (იხილე ენციკლოპედიური ლექსიკონი), ასეთ ფილოსოფიის საჭიროება იგრძნეს ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში, ეკონომისტმა და მოაზრემ ტიურგომ, და შემდეგში კიდევ უფრო ცხადათ— სენ-სიმონმა. ეს კიდევ რა არის,—მის განხორციელებას უკვე შეუდგენ ენციკლოპედისტები, აგრეთვე ვოლტერიც თავის „ფილოსოფიურ ლექსიკონში“! ეხლა კი მას მოჰკიდა ხელი კონტმა, უფრო სასტიკი მეცნიერული ფორმით, რომელიც აკმაყოფილებდა უტყუარ მეცნიერებათა მოთხოვნილებებს.

რომ კონტმა მშვენივრად შეასრულა თავისი მოვალეობა უტყუარ მეცნიერებათა შესახებ; რომ ის მართალი იყო, როცა მეცნიერება ცხოვრებაზე საზოგადოთ (ბიოლოგია) და ადამიანთა საზოგადოებებზე (სოციოლოგია) შემოიყვანა იმ მეცნიერებათა წრეში, რომლებიც შეიცავენ მის პოზიტივურ ფილოსოფიას; და რომ, და ბოლოს, მისმა ფილოსოფიამ იქონია უზარმაზარი გავლენა მეცხრამეტე საუკუნის მეცნიერებაზე და მოაზრე ადამიანებზე—ეს ყველამ კარგათ იცით.

მაგრამ რატომ, ეკითხებიან თავის თავს ყველა ისინი ვინც კი სწავლობენ კონტს, აღმოჩნდა დიდი ფილოსოფოსი ისეთი უძლური, რომ თავის „პოზიტივურ პოლიტიკაში“ ძლივს მოჰკიდა ხელი ადამიანის დაწესებულებების, განსაკუთრებით თანამედროვე დაწესებულებების, შესწავლას? რანაირად მოხდა, რომ ასეთი ფართე, დადებითი ჭკუის პატრონი მივიდა იმ რელიგიამდის, რომელსაც კონტი ქადაგებდა თავის სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში? ლიტრე და მილლი, როგორც ვიცით, თითქმის ვერ სცნობენ კონტის „პოლიტიკას“ მისი ფილოსოფიის ნაწილათ და სთვლიან მას უკვე დაუძლურებულ გონების ნაყოფათ; სხვები კი ტყვილათ სცდილობენ მონახონ მეთოდის ერთი და იგივეობა ორივე თხზულებაში.

წინააღმდეგობა ორივე თხზულებას შორის კი დიდათ სახასიათოა და ნათელს ჰფენს ჩვენი დროის შეკითხვებს.

როცა კონტმა დაამთავრა თავისი პოზიტივური ფილოსოფიის კურსი, მას უეჭველათ უნდა შეენიშნა, რომ მისი ფილოსოფია ჯერ არ შეხებია უმთავრესს, — სახელდობრ, ადამიანში ზნეობრივი დასაბამის წარმოშობას და ამ დასაბამის გავლენას ადამიანის ცხოვრებაზე. მას უნდა გამოერკვია ამ დასაბამის წარმოშობა, აეხსნა ის იმავე მოვლინებით, რომლებითაც ის ხსნიდა ცხოვრებას საზოგადოთ, ეჩვენებინა, თუ რატომ გრძნობს ადამიანი საჭიროებას, რომ დაემორჩილოს, ან და ანგარიში გაუწიოს მაინც, თავის ზნეობრივ გრძნობას. მაგრამ ამისათვის მას არ შესწევდა არც ცოდნა (იმ დროს, როცა ის სწერდა, ეს ისედაც გასაგებია) და არც გამბედაობა. მაშინ მან აიღო ღმერთი, როგორც ესმის რელიგიებს (რელიგიებს კი ისე ესმის, რომ ღმერთი არის კერპი, რომელსაც თაყვანს უნდა ვსცემდეთ და ვევე-

*) იხილე «მუშა» № 29.

...ქაც კრება იყო. ჯგუფი რამო-
...ენსამე ხანს ერთს ალაგას იყო
...კრებული და გამოლშა მოჩერე-
...ოდა; ერთი კაცი გამოცილდა
ჯგუფს, ჩამოტოპა წყალში, გამო-
...ლდა მეორე ნაპირზე, მიუახლოვდა
...ადგილის სადაც უსაქმოთ დარ-
...ჩენილთა კრება იყო გამართუ-
...ლი და გაჩერდა, მერე მიუბრუ-
...ნდა და გალმა ჯგუფს რალაც
...ანიშნა; ჯგუფი დაეშვა თავქვე, ჩა-
...მოტოპა წყალში და დიდხანის ყურ-
...ყუმალის შემდეგ გამოვიდა მარცხენა
ნაპირზე და პერდაპირ გასწია იქით
სადაც მუშებს კრება ჰქონდათ. მივა-
...რდენ, გაარღვიეს მუშების ჯგუფი
და მუშტების ღერით მიაშურეს
...ქ მდგომ სოც.-რევოლ, ასტეხეს
...ყალ-მაყალი, რომ ძალლი პატრონს
...ვეღარ ცნობდა. ამ სანახავმა მუშები
...ძაფრთხო, რომ შიმშილიც დაა-
...ვიწყებინა და ვისაც გაქცევა შეეძლო
...შინისაკენ მოკურცხლა. ვინც დარ-
...ჩენ ისინიც დიდ ხანს გონზე ვერ
...მოვიდნენ, ეგონათ ნამდვილათ გა-
...ცემული პოლიციელები დაგვე-
...ცენ თავზედაც, მაგრამ როდესაც
...გონზე მოვიდნენ და შეხედეს, რომ
...თავზე დამცემნი ქიათურის სოც.-
...დემოკრატები იყვნენ უთხრეს: „კა-
...ცო, რას ჩადიხართ, როგორ პოლი-
...ციელებსავით დაგვესხით თავზედაო“
—„აი თქვე ხულიგანებო თქვენა ვინ
...მოგცათ ნება, რომ აქ კრება გაგიმარ-
...თავთო“—მიცვივდნენ დანარჩენებს,
...სოციალ დემოკრატები. „ხმა ჩაიწ-
...ყვიტეთ თორეს ხომ იცით ჩვენი ამ-
...ბავიო.

რა თქმა უნდა, რომ ამგვარ მუქა-
რის შემდეგ დანარჩენებმაც თავს
უშველეს და ბინისაკენ მოჰკურცხ-
ლეს. გამარჯვებული სოც.-დემო-
კრატები ზარ-ზეიმითა და სიმღერით
მიყვნენ უკან დამარცხებულთ. აი
როგორ ზრუნავს მუშისათვის და
როგორ არჩევს მშიერ მუშას სა-
კითხს ქიათურის რ. ს. დ. მ. პ.

ი. ა.

—

**ქ. ქუთაისი.** 17 ივლის, 4 საათ-
ზედ გაგარინის ქუჩაზედ მოხდა შე-
მდეგი ბარბაროსული მკვლელობა.
მოკლეს ქუთაისის სოციალ-დემო-
კრატ. პარტიის წევრი რიჟინაშვი-
ლი. აი როგორ მომხდარა მკვლე-
ლობა: რიჟინაშვილი მინავალა სახ-
ლში, რომ გაუვლია პოლიცმეისტ-
რის კანცელარიასთან, შეუნიშნავს
პოლიცმეისტრის თანაშემწეს ტირ-
ანტონოვს და დაუდევნებია კაზა-
კების პატრული პოლიცელის უფ-
როსობით, დაუძახნიათ გაჩერდიო!
მხოლოდ რიჟინაშვილს პირველი
დაძახება ვერ გაუგონია, მეორედ
რომ გაუგონია გაჩერებულა კიდეც
ამ დროს მისცვენილან და დაუჭე-
რიათ, მხოლოდ ამ დროს მხეც
პოლიციელს უსვრია რევოლვერი
ორჯელ და იქვე მოუკლავს კა-
ზაკების ხელში, რომელიც წაა-
სვენეს ათფურიას საავადმყოფო-
ში. სხვათა შორის ქუთაისში
დაიწყო სასტიკი ჩხრეკა-დაპატიმ-
რებანი. არქიელის გორაზედ დაა-
ტუსაღეს შვიდ-რვამდე უდანაშაუ-
ლო პირნი. ქუთაისის საპყრობილე
25-მდე პოლიტიკურ დამნაშავეთ
გამოუცხადეს ტამბოვის გუბერნიაში
უვადოთ გადასახლება.

სან—რაკ.

—

**ქ. სოხუმი.** ბევრი ხანია ვითმი-
ნე მაგრამ ყველაფერს საზღვარი
აქვს და ჩემი მოთმინების ფიალაც აივ-
სო და აწ ნურას უკაცრავათ თუ-
ვალვიარო ჩვენი სოხუმის ს.-დემო-
კრატების ქცუის სიკოტრე და მათი
უტაქტო მოქმედება. რომელი ერ-
თი ჩამოვთვალო, რომ მათ (ს. დე-
მოკრატების) მიერ გმობილი და დე-
ვნილი არ იყოს: თავისუფლება კრე-
ბისა, სინიდისისა, სიტყვისა, თუ
სხვა. ასე გასინჯეთ გაზეთის გამყიდ-
ველთა უკრძალავენ, გაყიდონ გა-
რდა მათი გაზეთის „სიმართლისა“
(სიმართლე ისე შორს არის მათ-
გან როგორც ცა დედა მიწიდან)
„მუშა“, „ნობათი“ და „შრომა“
აგრეთვე სასტიკათ ალკრძალულია
სხვა პარტის წევრებთან თავისუფლათ
სჯა-ბაასი საზოგადო საქმის შესახებ.
ნუ იფიქრებთ, რომ არ დაემონავე-
ბიოს თავისი წევრები ს.-დემოკრა-
ტებს; ძალიან იშვიათათ შეხვდებით
რომ ვინმემ თავის გულის ნადები
პირით წარმოსთქვას, ვაი თუ ს.
დემოკრატებმა გაიგონონო.

სოხუმში, ყოველ ფეხის გადა-
დგმაზე ოცობით წაწყდებით სოც.-
დემოკრატებს, მაგრამ თითო თი-
თოდ რომ გამოელაპარაკოთ, დარ-
წმუნდებით, რომ მათ შორის ნამ-
დვილი სოც.-დემოკრატი სანთლით
არ ს საძებარი. მე ერთი წლის წი-
ნეთ სოც.-დემოკრატი ვიყავი, მაგ-
რამ ბ-ნ X-ს წყალობით ნამდვილი
სიმართლის გზა მოვნახე და დღეს
კი სხვა პარტიას ვეკუთვნი.

ამას წინათ ერთ სასტუმროში
ერთს სოც.-დემოკრატს მოველაპა-
რაკე და მეც თავი მოვისოციალ-დე-
მოკრატე; სხვათა შორის ვკითხე,
რატომ ჩვენი პარტია გვიკრძალავს
სხვა გაზეთების კითხვას-მეთქი
და მითხრა ეს იმიტომ, რომ
სხვა პარტია არივინ ირჩიოსო.—
მაგონდება მეგრული ანდაზა,
თხას როცა გაწყვეტა მოადგება,
რქებით დაუწყებენ ერთ-მეორეს ხე-
ხასაო; თუ თხებს რქები აქვთ, სა-
მაგიეროთ სოხუმის ს.-დემოკრატებს
ენა აქვთ და აი, კიდეც დაუწყეს
ერთიმეორეს ჯიბრი, ერთი და იგი-
ვე პარტიის წევრებმა.

შაფათს, 8 ამ თვეს ქ. სოხუმის
მოვაჭრე ელიზბარ კაჭარავას მაღა-
ზიიდან დილის 7 საათზე, როცა
სავაჭრო მაღაზია უნდა გაეღოთ,
უცბად ყველა ნოქრები გარეთ გა-
ვარდნენ. მეორე დღეს, კვირას
პროკლამაციებით მოფინეს სოხუმის
არე-მარეს. დემოკრატებმა და გამოა-
ცხადეს, ელიზბარი კაჭარავა დამ-
პალი თევზით კვებავს ნოქრებსო.
რა თქმა უნდა ამის გამო კაჭარავა
უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყე-
ნეს.

მალე გამოირკვა საქმის ვითარება
და დამტკიცდა, რომ ე. კაჭარავა
საუკეთესო საჭმელით კვებავდა ნო-
ქრებს და ყოველ ორ კაცზე გა-
ჩენილი ქონდა ერთი ბოთლი ღვი-
ნის პირველ ნახევარში, ის ეხლა
...

...ღრებოდეთ, რომ ვიყოთ ზნეობრი-
...ვი ადამიანები!), და მის ადგილზე
...დასვა კაცობრიობა, ასომთავრული
...ნით ხელში. გვიბრძანა მან ვე-
...ღროთ ამ ახალ კერპს, რომ გან-
...ავითაროთ ჩვენში ზნეობრივი დასა-
...ბამი. მაგრამ რაკი ეს ნაბიჯი გადა-
...დგმული იქმნა, რაკი თაყვანისცემა
...ალაცისადმი, რომელიც სდგას პი-
...როვნების გარეშე და მაღლა, აღი-
...რებულ იქმნა იმისთვის, რომ ადა-
...მიანმა არ გადაუხვიოს ზნეობრივ
...გზას,—ყველა დანარჩენი გამომდი-
...ნარეობდა თავის თავად. კონტის
...რელიგიის წეს-რიგობა (ОБРЯД-
...НОСТЬ) სრულიათ ბუნებრივად წარ-
...მოსდგა, სწორეთ ისე, როგორც
...წინასწარი დადებითი რელიგიები.

რაკი კონტმა არ აღიარა, რომ
...ყველა ის, რაც კია ადამიანში ზნე-
...ობრივი, აღმოცენდა ბუნებრივ
...მოვლენების დაკვირვებათაგან და
...თვით ადამიანთა საერთო ცხოვრე-
...ბის პირობებისაგან, რაკი მან ვერ
...იცნო, რომ ზნეობრივი დასაბამი
...საფუძველი) ადამიანში მტკიცდე-
...ბა, როგორც თანდათანობით გან-
...ვითარებისაგან (ევოლიუციისაგან)
...ის მიერ ნაანდერძევი დანარჩენი
...ყოველი მისი ორგანიზაცია, რომ
...ზნეობრივ საფუძველს ადამიანში
...დასაბამი აქვს ცხოველთა ჯოგურ
ცხოვრებაში, რაიც წ-ნუსწრობდა
ადამიანს ქვეყანაზე; რომ, მაშა-
სადამე, როგორიც უნდა იყოს
კერძო პირების მიერ გვერდის ახვე-
ვა ამ საყოველთაო ფაქტისათვის,
ის უნდა დარჩეს ადამიანთა ცხოვ-
რებაში, სანამ კაცობრიობა ფეხს
არ შესდგამს გადაშენების გზაზე,
და ამიტომ კერძო პირების ანტი-
ზნეობრივი მოქმედება აუცილებ-
ლად გამოიწვევს გარეშე პირების წი-
ნააღმდეგ მოქმედებას, როგორც ფი-
ზიკურ ქვეყანაში მოქმედება (აქცია)
იწვევს წინააღმდეგ მოქმედებას (რე-
აქციას); რაკი კონტმა ვერ გაიგო
ეს ის იძულებული გახდა გამოეგო-
ნებია ახალი კერპი—კაცობრიობა,
რომ ამ კერპს დაეყენებია ყოველ-
თვის კაცი ზნეობრივ გზაზე.

ამნაირათ, ისე როგორც სენ-სი-
მონმა, ფურიემ, და თითქმის ყველა
თანამედროველებმა, კონტმაც გადა-
უხადა ხარკი თავის ქრისტიანულ აღ-
ზრდას: ქრისტიანობა წარმოუდგე-
ლია, თუ არ იქმნა ბრძოლა კეთილ-
დასაბამსა და ბოროტს შორის—ამა-
სთანვე არც ერთი არ უნდა სჭარბო-
ბდეს ძალ-ღონით—და თუ კაცმა არ
მიმართა კეთილ დასაბამს ლოცვით
დასაცველათ და მის ქვეყნიურ მო-
ციქულებს კეთილ საქმეში განსამ-
ტკიცებლათ, და კონტიც, ბავშვო-
ბიდან განმსჭვალული ამ ქრისტია-
ნულ იდეით, დაუბრუნდა მასვე,
როცა კი შეხვდა პირისპირ ზნეო-
ბის კითხვას, და აგრეთვე საკითხს
იმის შესახებ თუ როგორ უნდა
განმტკიცდეს იგი (ზნეობა) ადამია-
ნის გულში.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ კონ-
ტი სწერდა თავის პოზიტივურ ფი-
ლოსოფიას და პოზიტივურ პოლი-
ტიკას ჯერ კიდევ კაი ხნით ადრე
იმ წლებისა (1856—1862), რომ-
ლებმაც, როგორც ზევით იყო ნათ-
ქვამი, სწრაფად გაფართოვეს მეც-
ნიერების ჰორიზონტი და ყოველი
განათლებული კაცის მსოფლიო
მხვედლობა.

ამ ხუთი—ექვსი წლის განმავლო-
ბაში გამოსულმა თხზულებებმა ისე-
თი ღრმა ცვლილება მოახდინეს ბუ-
ნებაზე შეხედულობაში, ცხოვრება-
ზე საზოგადოთ და ადამიანთა საზო-
გადოების ცხოვრებაზე წარმოდგე-
ნა-შეხედულებაში, რომლის მსგავ-
სი არ ყოფილა მეცნიერებათა მთელ
ისტორიაში აგერ ორი ათასი და
ცოტა მეტი წელია. ის, რასაც
ბუნდოვანათ გებულობდენ, ხან კი
—გრძნობდენ წინდაწინვე ენცი-
კლოპედისტები; ის რასაც ნელ-ნე-
ლა ატარებდენ რამოდენიმე გამორ-
ჩეული თავები მეცხრამეტე საუკუ-
ნის პირველ ნახევარში, ის ეხლა
მოევლინა კაცობრიობას ცოდნით
აღჭურვილ-შეიარაღებული; და მო-
ევლინა ის ისეთი სისრულით, რომ
ბუნებრივ-მეცნიერულის გარდა,
კვლევა-ძიების ყოველი სხვა მეთოდი
აღმოჩნდა უვარგისი, ყალბი და
უსარგებლო. შევჩერდეთ ერთი წუ-
თით ამ წლებში მიღწეულ შედეგე-
ზე, რომ უფრო სისწორით დავაფა-
სოთ ჰერბერტ სპენსერის მიერ შემ-
დეგში ნაცადი სინტეტიურ ფილო-
სოფიის შენობა.

გროვემ, კლაუზიუსმა, ჰელმჰოლ-
ცმა, ჯოულმა და ფიზიკოსების და
ასტრონომების მთელმა პლეადამ,
აგრეთვე კირხჰოფმა, რომელმაც
აღმოაჩინა სპექტრალური ანალიზი
და შეძლება მოგვცა გავიგოთ, რა
და რა სხეულებისაგან შესდგებიან
თვით უშორესი ვარსკვლავებიც კი
ერთბაშათ დაამტკიცეს მეორმოცდა-
ათე წლების ბოლო ხანებში ერთი-
ანობა მთელ არა ორგანიულ ქვეყა-
ნაზე. ერთბაშათ შეუძლებელი შე-
იქმნა ლაპარაკი რაღაცა საიდუმლო,
უწონავ სიტყვებზე (სითბობადის,
მაგნიტის, ელექტრონის სითხეებზე).
აღმოჩნდა, რომ მექანიკური მოძრა-
ობანი პაწაწა ნაწილებისა, როგორ-
საც ჩვენ ვხედავთ, მაგალ., ზღვის
აგორებულ ტალღებში, ან და ზა-

ნო. მესამე დღეს ორშაბათს ყველამ თავისი ადგილი დაიჭირა.—

დღეს ნოქრები ლაპარაკობდენ, ჩვენ კომიტეტისთვის არ გვითქვამს, რომ დამპალი თევზით გვკვებავენო, ეს თქვენი შეთხზულიაო: ამის დარდი არა მაქვს, ვიცი ძაღლი ძაღლის ხორცს არ დახევს.

მე რომ შეურაცჰყოფა მომაყენეს ამის პასუხს ვთხოულობ ბ. ს.-დემოკრატებისაგან.

მე როგორც ელ. კაპაროვას ვექილი შაბათს, დილის 10 საათზე მაღაზიაში მიველი საბუთის ქაღალდებისათვის, რომ წარმედგინა მომრიგებელ-მოსამართლისათვის თუ რმე დაუნახავართ ს-დემოკრატებს და მომვარდნენ მუქარით, და პროკლამაციაში გამომჭიმეს, სადაც სწერდენ: წინადადებას ვაძლევთ თურქიას და ჭიჭოს (უკანასკნელი უფროსი ნოქარი), რომ სამსახურს თავი დანებონო, წინააღმდეგი შემთხვევაში „ბოიკოტს“ გამოგიცხადებთო. კარგი რომ მათ შორის კომფლიქტი არ მოხთა და საქმე არ გსმწვავდა, თორემ ჩემი პატიოსნება შეილახებოდა. ვთხოულობ ბ ნ ს.-დემოკრატებისგან, რომ თავისი უტაქტიკო და გზა და კვალ აბნეული პროკლამაცია ისევ — გამოუშვან და აღნიშნონ, რომ ჩემი სახელი და გვარის აღნიშვნა შეცდომით მოუვიდათ, ან მომყვენ საამხანაგო სამართალში, თუ არც ერთში და არც მეორეში პასუხი არ გამცეს, ეს იმისი ნიშანი იქნება, რომ მათ შორის სიმართლეს და პატიოსნებას ალაგი არ ექნება და ისედაც ნდობა დაკარგულ მათ პროკლამაციას, სულ დაეკარგება ჩვენ შორის სიმპატია.

ივანე თურქია.

# უცხოეთი.

## იტალია.

3 ივლისს, კალტანიზეტტაში (სიცილია) გოგირდის გამკეთებელმა მუშებმა გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა. მიტინგის შემდეგ ეს მუშები დაიარებოდენ ქუჩებში წითელი დროშით ხელში და აიძულებდენ დუქნების და მაღაზიების კეტვას. საშიშ მდგომარეობის გამო პოლიცია შეერია მანიფესტანტებს გასაფანტავად. ზოგიერთი წეს-რიგის დამცველები და ზოგიერთი მსროლელნი სალდათები იყვნენ კეტებით ნაცემნი და დანებით დაჭრილნი. ანარქისტი ფრონტმური, რომელმაც მძიმედ დასჭრა ერთი მსროლელი, შეიპყრეს და წაიძღოლიეს ციხეში. ხალხი ცდილობდა გაენთავისუფლებინა იგი. ციხის კარებთან, როგორც კი მიუახლოვდა ხალხი იქაურ ყარაულებს, ამ უკანასკნელებმა დაუწყეს ხალხს სროლა. მათგან 7 კაცი დაჭრილია.

მას შემდეგ მშვიდობიანობა აღადგინეს. (ტან ნუვო).

## გერმანია.

2 ივლისის დეპეშა ბერლინიდან ატყობინებს ჟურნალებს, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ზოგიერთ მებრძოლ ანარქისტების სახლებში ხშირად ახდენენ ჩხრეკას და ერთი ჩვენი მებრძოლი ამხანაგი Der freie arbeiler (თავისუფალი მუშაკი) შეპყრობილ იქმნა. (ტან ნუვო).

## შვეიცარია.

ხელოსნების და კალატოზების საყურადღებოდ ლოზანის ხელოსანთა და კალატოზთა ამხანაგები გაიფიცნენ; ისინი იბრძვიან 9 საათის სამუშაო დღის დასამყარებლად. გაფიცულებს აქვთ ღონიერი სინდიკალური და ფედერატიული ორგანიზაციები ამათ შეადგინეს ადგილობრივი მუშათა კავშირი. ეს ორგანიზაციები ერთმანეთს ენერგიულად მხარს უჭერენ ბრძოლაში პატრონების წინაღმდეგ. სანამ გაფიცვა გამოცხადებულიყო, ლოზანში მუშაობდნენ 2000-ზე მეტი კალატოზთა მუშები. ლოზანის მწარმოებელნი, რომლებთაც არ სურდათ შეემცირებინათ სამუშაო დღე, აგროვებდნენ სხვა მუშებს, რათა ჩვენი ამხანაგების ადგილზე დაეყენებინათ ისინი, ამისათვის მწარმოებელნი მოგზაურებდენ ნშვეიცარიაში, ბელგიაში, იტალიაში, საფრანგეთში, უმთავრესათ სავოიაში, ლიმუზენში და ოვერნში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა! ნუ უჯერებთ ტკბილ დაპირებას ლოზანის პატრონების მხრივ ნურც ერთი კალატოზი, ნურც ერთი ხელოსანი ნუ მივა ლოზანში. ჩვენ იძულებული ვიქნებით გამოვაქვეყნოთ მოღალატეთ და რენეგატებათ ყოველი უცხოელი მუშები რომლებიც დააპირებენ გაფიცულთა ადგილების მიღებას.

ვიყოთ სოლიდარულათ ერთმანეთთან! გასწით წინ სამუშაო დღის შემცირებისათვის.

ლოზანის მუშათა კავშირი.

# დეპეშები

(რუსეთის სატელეგრ. სააგენ).

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნო გაუქმება სიკვდილით დასჯისა.

— ბოროტ მომქმედნი ცდილობდნენ დაემსხვრიათ კელნის მატარებელი. ერკელინის ახლო, ბელგიაში მემანქანის თანაშემწე მოკვდა, რამდენიმე კაცი დაჭრილია. ზოგიერთის სიტყვით მატარებელის დამსხვრევა გამოწვეული იყო ერთ რუს მაღალის პირის მოგზაურობის გამო; მეორების სიტყვით კი გაცარცვის გამო. მატარებელში იყო ბლომად ფული.

**მოსკოვი** წმინდა ტრიფონის ეკლესია გაძარცეს, გატაცებულია სამკაული და ფულად 250 მანეთი.

**კიევი.** დიდ ვასილკოვის ქუჩაზე დაინგრა სახლი. ერთი მუშა მოკლულია და ექვსი კი დაჭრილი.

— სოფელ მიხაილოვკაში, გლუხოვის მაზრაში და მეზობელ ქარხნებში მოხდა არეულობა. გამოწვეულია ჯარი.

**ვარშავა.** ვიტკოვის მოედანზე, უცნობმა პირებმა მოჰკლეს პოლიციელი, მეორე კი დასჭრეს.

**ვარშავა** საფოსტო ვაგონის დაცემის დროს ვარშავა-ვენის რკინის გზაზედ 15 ივნის გატაცებულია 173 ათას მანეთი.

**ბერლინი** კურიერში გადარჩენილმა ქვა-მღაროს საფრანგეთის მუშებმა გაუგზავნეს იმპერატორს სამადლობელი დეპეშა.

**სიმფეროპოლი.** სოფელ დნეპროვსკაში შეიარაღებულებმა გაცარცვეს სოფლის მართველობა.

**ბელოსტოკი.** 6 მგზავრი, რომელნიც მოდიოდნენ სადგურ ლონოვიდგან ქალაქ ვენგეროვში, გაცარცვეს 14 შეარაღებულმა ბოროტ-მომქმედებმა და მიიმალნენ.

**ლიუბეკი.** დანიის პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ივლისში ფინლიანდიაში გატანილია 707 ყუთი სამხედრო მასალა და იარაღი.

**ვარშავა.** ვოლსკის ქუჩაზედ მძიმედ დასჭრეს პოლიცელი. ტეპელის ქუჩაზედ მოჰკლეს უბნის ზედამხედველი გოცლავსკი.

**მიტავა**. გადასწვეს გრაფ გედემის მამული.

**იაროსლავი.** სოფელ სტავროში დაიწვა 45 სახლი და ბევრი შინაური საქონელი.

**ორიოლი.** სოფელ სნოპოტში დაიწვა 102 სახლი.

**როსტოვი-დონზე.** „სოიუზი“-ის ქარხნის არტელშიკს, მომავალს როსტოვში, დაეცნენ 6 ბოროტ-მოქმედნი და წაართვეს 3,600 მანეთი.

რედაქტორ გამომცემელი

მიხეილ დიასამიძე

# განცხადებანი.

ვთხოვთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში ფულიყოველ შაბათობით გვიგზავნონ თუ სურთ, რომ შემდეგისთვისაც მიიღონ გაზეთი.

ვთხოვთ თვიურ ხელის მომწერლებს (თბილისში და თბილისს გარეთ) შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევაჩეროთ გაზეთის გზავნა.

რის და კამურტონის ჟრჟოლა-კანკალის დროს, საკმარისი ყოფილან სინათლის, ადუღება-გაცხელების, ელექტრონისა და მაგნეტიზმის ყველა მოვლენათა ასახსნელათ: რომ შეგვიძლია ისინი გავზომოთ, ავწონოთ მათი ენერგია. ეს კიდევ ცოტაა,—აღმოჩნდა, რომ ყველაზე უუშორეს ციურ მნათობებშიაც, სადაც ისეთივე მარტივი სხეულებია, როგორც დედა-მიწაზე, ხდება პაწაწა ნაწილების იგივე თრთოლა და რყევა, იგივე მოძრაობა მასსებისა. თვით მასსიური მოძრაობანი ციურ მნათობთა, რომლებიც დაჰქროლავენ თვალუწვდენელ სივრცეში მსოფლიო მიმზიდველობის კანონით, არიან, ალბათ, შემდეგი ამ სინათლისა და ელექტრონის ვიბრაციისა, რომელიც გადადის ბილიონ და ტრილიონ მილიონ ვერსის იქით სავარსკვლავთაშორისო მსოფლიო არე-მარეში.

ნივთიერების პაწაწა ნაწილების იგივე სითბოსებური და ელექტრონული ვიბრაციები საკმაო აღმოჩნდენ ქიმიურ მოვლენების ასახსნელათ. მცენარეების და ცხოველების თვით ცხოვრებაც კი, თავისი უთვალავი ცვალებადი მოვლენებით, აღმოჩნდა, რომ ყოფილა ნაწილაკების გაცვლა გამოცვლა იმ ფართო რიგში რთულისა, და ამიტომაც ადვილათ დასაშლელ და ხელახლა ადვილათ ასაშენებელ შეერთებათა, რომელთაგანაც სდგებიან სასიცოცხლო ძაფები ყველა ცხოველ არსებაში.

ამას გარდა, იმავე წლებში გაიგეს, და უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ფრთხილათ გამოიკვლიეს, თუ რანაირათ იძლევა ცხოველთა ნერვულ ცხოვრების მექანიკურ ახსნას ნერვული სისტემის უჯრედების (КЛѢТОЧКИ) ცხოვრება და ის გარემოება, რომ მათ შეუძლიანთ გადასცენ გაღიზიანება (раздраженіе) ერთი უჯრედიდან მეორეს. ამ გამოკვლევების წყალობით, ჩვენ შეგვიძლია, რომ არ გავცილდეთ წმიხდა ფიზიოლოგიურ მოვლენათა საზღვრებსაც, გავიგოთ ტვინში, გონებაში, აღბეჭდილი სახეები და შთაბეჭდილებანი, მათი საურთიერთო, თანასაზიარო გავლენა, იდეათა ასოციაცია (ყოველი შთაბეჭდილება იწვევს წინეთ დაგროვებულ შთაბეჭდილებებს), და, მაშასადამე, —აზროვნობაც.

ან—შინ.

(გაგრძელება იქნება.)

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგის“, სასახლის ქუჩა, სადლი ქარ. თავ.-აზნაურობისა.